



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

5 ივნისი, 2020 წელი

ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგია
მოსამართლე მერი გულუაშვილი**

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“;

მოპასუხეები - სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სასამართლომ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების დადასტურების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2020 წლის 1 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“, მოპასუხე სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 11 თებერვლის N156/ს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მაისის ვირტუალური უარის ბათილად ცნობა.

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს და იგი მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით

წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც სასარჩელო განცხადება დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

სასამართლო მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა, ვინაიდან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი (საფუძვლები), კერძოდ: საქმის არსებითი განხილვისათვის სათანადოდ მომზადების ინტერესებისათვის აუცილებელია მოსამზადებელი სხდომის ჩატარება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-13, მე-16, მე-19, 22-24-ე, 26²-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 446-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა 2020 წლის 7 ოქტომბერს, 12:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხდომის დარბაზი №29. მხარეები გამოძახებულ იქნენ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით;
3. დაევალოს მოპასუხეს 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
4. №3/3140-20 ადმინისტრაციულ საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე;
5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე

მერი გულუაშვილი

